



ქართული უნივერსიტეტის IX პირად-გუნდური ოლიმპიადა
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად

ისტორია - VIII კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____

სკოლა, კლასი _____

თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____

I. დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

ინსტრუქცია:

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება ერთი (1) ქულით ფასდება.

(1) 1. არაბთა რომელი სარდლის ლაშქრობის შემდეგ ჩნდება ქართლში ამირას ხელისუფლება?

ა. ბულა თურქის ბ. ჯარაჰის გ. მურვან ყრუს დ. აბულ კასიმის

(1) 2. ვინ სარდლობდა ფრანგებს ვატერლოოს ბრძოლაში?

ა. ბონაპარტე ბ. პიშეგრიუ გ. მარატი დ. მიურატი

(1) 3. რომელი მუსიკოსი შეეწირა XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს საქართველოში?

ა. რევაზ ლალიძე ბ. მელიტონ ბალანჩივაძე გ. ზაქარია ფალიაშვილი დ. ევგენი მიქელაძე

(1) 4. საფრანგეთის რომელი მეფე დაატყვევეს პარიზელებმა 1792 წელს?

ა. ფრანცისკ I ბ. შარლ X გ. ლუი XVI დ. ანრი IV

(1) 5. ვინ დაარსა პირველად თბილისში სტამბა?

ა. თეიმურაზ I-მა ბ. ვახტანგ VI-მ გ. გიორგი IX-მ დ. ერეკლე II-მ

(1) 6. რომელ წელს შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები?

ა. 1775 წელს ბ. 1776 წელს გ. 1777 წელს დ. 1778 წელს

(1) 7. რომელ წელს გაუქმდა მცხეთის საკათალიკოსო?

ა. 1801 წელს ბ. 1811 წელს გ. 1814 წელს დ. 1819 წელს

(1) 8. ვის ეკუთვნის ნაშრომი „შაჰნავაზიანი“?

ა. თეიმურაზ I-ს

ბ. ფილადელფოს კიკნაძეს

გ. გიორგი ერისთავს

დ. ფეშანგი ხითარაიშვილს

(1) 9. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ქართლის მეფე სვიმონ I?

ა. XV ს.

ბ. XVI ს.

გ. XVII ს.

დ. XVIII ს.

(1) 10. ვინ იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე?

ა. გიორგი VIII

ბ. დავით IX

გ. კონსტანტინე I

დ. ალექსანდრე I

II დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ქვემოთ ჩამოთვლილი პიროვნებები და მოვლენები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ).

პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული პიროვნების ან მოვლენის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება სამი (3) ქულით ფასდება.

(3) 11. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ერთიანი საქართველოს მეფეები მათი მოღვაწეობის მიხედვით

1. გიორგი IV

2. ბაგრატ IV

3. დავით V

4. ალექსანდრე I

--	--	--	--

(3) 12. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ დავითისა და თამარის დროს მომხდარი ბრძოლები

1. ბასიანის ბრძოლა

2. დიდგორის ბრძოლა

3. ერწუხის ბრძოლა

4. შამქორის ბრძოლა

--	--	--	--

(3) 13. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ რუსეთის მეფეები მათი მოღვაწეობის მიხედვით

1. პავლე I

2. ალექსანდრე I

3. ეკატერინე II

4. ნიკოლოზ II

--	--	--	--

(3) 14. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ერთიანი საქართველოს მეფეები

1. გიორგი I

2. დემეტრე I

3. რუსუდანი

4. დავით IX

--	--	--	--

III დავალება - შესაბამისობის პოვნა

ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იპოვეთ შესაბამისობა შემდეგი პრინციპით: „X“ ნიშანი დასვით სწორი პასუხის ადგილზე. მაგ: თუ თვლით, რომ „ივერიელთა მეფეთა და მთავართა ტრაქტატი“ დაიდო 1794 წელს, მაშინ „X“ ნიშანი დასვით „3“-ისა და „ა“-ს გადაკვეთაზე. დავალება მაქსიმუმ ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 15. იპოვეთ შესაბამისობა

- | | |
|--|--|
| 1. ალა მაჰმად ხანის ლაშქრობა საქართველოში | ა) 1794 წ. |
| 2. ალექსანდრე I-ის მანიფესტი | ბ) 1770 წ. |
| 3. ივერიელთა მეფეთა და მთავართა ტრაქტატის დადება | გ) 1790 წ. |
| 4. ყვარლის ბრძოლა | დ) 1801 წ.
ე) 1755 წ.
ვ) 1795 წ. |

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						
2						
3						
4						

IV დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულა), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულა). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. დავალება მაქსიმუმ ოცი (14) ქულით ფასდება.

I მსოფლიო ომი 1913 წლის აგვისტოში დაიწყო. ერთმანეთს ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი „ანტანტა“ და „სამთა კავშირი“ დაუპირისპირდა. ანტანტაში დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და რუსეთი შედიოდა. სამთა კავშირში თავიდან გაერთიანებული იყო გერმანია, ჩეხეთ-სლოვაკეთი და იტალია, თუმცა იტალია ომის მსვლელობისას ანტანტის მხარეზე გადავიდა, სამაგიეროდ გერმანიას ირანი მიემხრო. I მსოფლიო ომში პირველად იქნა ტანკები გამოყენებული. 1917 წელს ნიკოლოზ I-ის გადადგომისა და სსრკ-ში მონარქიის დამხობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლებელი გახადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. I მსოფლიო ომი 1919 წელს ანტანტის გამარჯვებით დამთავრდა.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		